

ჭარბვალთანობასთან ბრძოლის შედეგების ზეგავლენა საქართველოს საბანკო  
და მიკროსაფინანსო სექტორზე

ბექა ჯანელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

ხელმძღვანელი: გიორგი ხიმტოვანი - ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წ

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო კვლევის მეთოდების (ივლისი, 2021წ) და აკადემიური წერის (სამაგისტრო საფეხური) კურსებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (ივლისი, 2021წ).

ბექა ჯანელიძე

24 მაისი 2023 წ

## აბსტრაქტი

რთული წარმოსადგენია კაპიტალისტური სახელმწიფოს ეკონომიკა კერძო ფინანსური სექტორის გარეშე, რამეთუ მათი როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში უდიდესია. საბანკო სისტემა ერთგვარ ლოკომოტივს წარმოადგენს, რომელსაც ეკონომიკა განვითარების გზაზე მიჰყავს. მიუხედავად ამისა, ბანკების საქმიანობას კონტროლი ესაჭიროება, რადგან უკონტროლოდ მომუშავე საბანკო სექტორმა, შესაძლოა მეტად მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემები გამოიწვიოს როგორც თითოეული მოქალაქის, ასევე მთლიანი ეკონომიკის ჭრილში. კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დაუცველობამ, შესაძლოა, ჭარბვალთანობა და აღნიშნული პრობლემით განპირობებული ნეგატიური ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვიოს.

2000-იან წლებში საბანკო სექტორის განვითარების ტემპების ზრდამ და მისი წარმომადგენლების მიერ სამომხმარებლო საკრედიტო ბაზრის დაჩქარებულმა ექსპანსიამ, საქართველოს ეკონომიკაში გარკვეულ ნეგატიურ პროცესებს ჩაუყარა საფუძველი: ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის ზრდის პარალელურად, გაიზარდა საოჯახო მეურნეობების საკრედიტო ვალდებულებების მოცულობა, რამაც საბოლოო ჯამში მათი ხარჯვითუნარიანობა შეამცირა. ასევე, გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში განვითარებულმა მაკროეკონომიკურმა არასტაბილურობამ და კუპონის ჰიპერინფლაციით ეროვნული ვალუტის მიმართ გამოწვეულმა მოსახლეობის უნდობლობამ, გაზარდა მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, რამაც სხვა მიზეზებთან ერთად უცხოურ ვალუტასთან მიმართებით ეროვნული ვალუტის გაუფასურება განაპირობა. ადგილი ჰქონდა მინიმალურ სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასების ზრდას.

2010-იანი წლების შუიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაამკაცრა საფინანსო სექტორის, უფრო მეტად კი კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონტროლი. ინიცირდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელთა ძირითადი მიზანი ქვეყანაში ჭარბვალთანობის დონის შემცირება იყო. მათ შორის, მნიშვნელოვნებით გამოირჩევიდა „ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია“, რომლის მიზანაც საფინანსო სერვისების საშუალოსტატისტიკური მომხმარებლის ფინანსური განათლების დონის ამაღლება იყო. ასევე, „დედოლარიზაციის“ პროექტი, რომელიც მიზნად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შემცირებას ისახავდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება“, რომლის მიზანს „საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების უზრუნველყოფა“<sup>1</sup> წარმოადგენდა, რომლის ფარგლებში დაწესდა შეზღუდვები ბანკების მიერ მომხმარებლის შემოსავლის დათვლის ნაწილში, დადგინდა საკრედიტო შენატანებისა და შემოსავლების თანაფარდობის მაქსიმალური ზღვრები; ასევე, ამოქმედდა გირაოსთან დაკავშირებული სხვადასხვა მოთხოვნები და გამკაცრდა კრედიტის უცხოურ ვალუტაში გაცემის მოთხოვნები. საბოლოო ჯამში, ფიზიკური პირების დაკრედიტების ეროვნული ბანკისეულმა გამკაცრებულმა პოლიტიკამ, ეკონომიკაში მოიტანა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. მაგალითად, გადაწყდა საოჯახო მეურნეობების ვალდებულებების ლარიზაციის პრობლემა და შემცირდა ჭარბვალთანობის ინდიკატორები, მაგრამ აღნიშნულმა პოლიტიკამ გარკვეული ნეგატიური ცვლილებები გამოიწვია საბანკო და მიკროსაფინანსო ბაზარზე ოპერირებად კომპანიებში დაკრედიტების შეზღუდვის და შესაბამისად, შემოსავლის შემცირების კუთხით. ზედამხედველობის გამკაცრებული პოლიტიკის შედეგად, ბაზარზე ოპერირებად სუბიექტთა ნაწილს ბაზრის დატოვება მოუწია.

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება“, თბილისი 2018.

მოცემული კვლევის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს იმ დამოკიდებულების შეფასება, რომელიც საფინანსო დაწესებულებების საკრედიტო პოლიტიკასა და ჭარბვალთანობას შორის არსებობს. ასევე, ნაშრომის მიზანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჭარბვალთანობის დონის შემცირების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტების შედეგების ანალიზი და საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორში ოპერირებად კომპანიებზე მათი ზეგავლენის მასშტაბების დადგენა. ნაშრომში მოხდება ისეთი საკითხების განხილვა, როგორც არის მოსახლეობის ჭარბვალთანობის დონის შეფასების მეთოდების დადგენა, მისი გამომწვევი მიზეზების მიმოხილვა და საქართველოს ეკონომიკის ჭრილში განხილვა.

წინამდებარე ნაშრომში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჭარბვალთანობის პრობლემის გადასაჭრელად გადადგმული ნაბიჯების მიმოხილვა და მათი შედეგების ანალიზი. შეზღუდვების ამოქმედებიდან საკმარისი პერიოდი გავიდა იმისთვის, რომ მოხდეს შეზღუდვებამდე და შეზღუდვების შემდეგ მდგომარეობის შედარება და ანალიზი. წინამდებარე კვლევამ გვაჩვენა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჭარბვალთანობის პრობლემის წინააღმდეგ გამოყენებულმა ინსტრუმენტებმა გაამართლეს ინიციატორის მოლოდინები - სხვადასხვა ხასიათის შეზღუდვების წყალობით, შემცირდა მოსახლეობის ჭარბი საკრედიტო ვალდებულებები და დაკრედიტების ახალი სტანდარტის გამო მსესხებლებს შეეზღუდათ წვდომა კრედიტის იმ ნაწილზე, რომელიც მათ გადახდისუნარიანობას აჭარბებს. ამავდროულად, ახალმა რეგულაციებმა შეცვალეს სიტუაცია საბანკო და მიკროსაფინანსო ბაზარზე - საკრედიტო პორტფელის შენარჩუნებისთვის, გამსესხებლებს, გაცილებით მეტი ძალისხმევით გამოჩენა უწევდათ. დაკრედიტების გამკაცრებულმა მოთხოვნებმა, მიკროსაფინანსო სექტორის წამომადგენელთა ნაწილი აიძულა ბაზარი დაეტოვებინათ და დარჩენილი სუბიექტებისთვის თამაშის წესების მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია.

## Abstract

It is hard to imagine the economic of a capitalist country without a private financial sector, because its role to develop the economic of country is huge. The banking system is a kind of locomotive that drives the economic on the path of development. However, the activity of banks needs to be controll, because the banking sector, allowed to run on its own, without control, may cause very important and serious problems both for each citizen and for the economy as a whole. The insecurity of responsible lending principles by commercial banks and microfinance organizations may lead to over-indebtedness and negative economic changes caused by the problem.

In the early 2000s, the growth of development pace of the banking sector and the accelerated expansion of the consumer credit market by its, representatives laid the foundation for significant negative processes in the economic of Georgia. Along with the growth of the credit portfolio of banks and microfinance organizations, the volume of credit obligations of family farms has increased, which finally led us to the over-indebtedness problem. Also, in the 90s of the last century, the macroeconomic instability developed in the country and the distrust towards the national currency caused by coupon hyperinflation increased the demand for foreign currency, which, among other reasons, led to the depreciation of the national currency in relation to foreign currency. There was an increase in the prices of the products included in the minimum consumer basket.

Since the mid-2010s, the National Bank of Georgia has tightened the control of representatives of the financial sector - commercial banks and microfinance organizations. A lot of legislative changes were initiated, the main goal of which was to reduce the level of obesity in the country. Among them, the "National Strategy of Financial Education" stood out, the goal of which was to raise the level of financial education of the average user of financial services. Also,

the "de-dollarization" project, which aimed to reduce the exchange rate of the national currency against foreign currency. It is impossible not to mention the "Provision on Lending to Individuals", the purpose of which was to "promote the stable and sustainable functioning of the Georgian financial system and ensure responsible lending to individuals by lending organizations", within the framework of which restrictions were imposed on the calculation of the user's income by banks, the credit contributions were determined and income ratio ceilings; Also, various requirements related to collateral were introduced and the requirements for issuing credit in foreign currency were tightened. In the end, the national bank's tightening policy of lending to individuals brought both positive and negative results to the economy. For example, the problem of liquidation of the obligations of family farms was solved and indicators of over-indebtedness were reduced, but the mentioned policy caused some changes in terms of limiting lending to companies operating in the banking and microfinance market. As a result of the strict supervision policy, some of the subjects operating in the market had to leave the market.

The purpose of this research is to determine the methods of assessing the level of population overindebtedness, to review its causes and to discuss it in the context of the economy of Georgia. The main goal of the study is to analyze the results of the tools used by the National Bank of Georgia to reduce the level of over-indebtedness and determine the extent of their impact on the companies operating in the banking and microfinance sector.

In this work, the steps taken by the National Bank of Georgia to solve the problem of over-indebtedness are reviewed and their results are analyzed. Sufficient time has passed since the introduction of the restrictions to compare and analyze the situation before and after the restrictions. It is interesting what has changed during this not so simple period.